სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება №01-09-10/128

18 09 2020 წ.

ქ. თბილისი

2020-2021 სასწავლო წლის პირველი (შემოდგომის) სემესტრის სასწავლო განრიგის შესახებ

"უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2020 წლის 22 მაისის №322 დადგენილების, „2020-2021 სასწავლო წელს საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ სასწავლო პროცესის განხორციელების შესახებ" საქართველოს განათლების მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 04 სექტემბრის №778305 ბრძანების, „„2020-2021 სასწავლო წელს საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ სასწავლო პროცესის განხორციელების შესახებ" საქართველოს განათლების მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 04 სექტემბრის №778305 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ" საქართველოს განათლების მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 11 სექტემბრის №820262 ბრძანების, "უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანების, "საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციისა" და აკადემიური საბჭოს 2020 წლის 14 სექტემბრის №01-05-04/138 დადგენილების საფუძველზე, 2020-2021 სასწავლო წლის პირველი (შემოდგომის) სემესტრის ორგანიზებულად ჩატარების მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2020-2021 სასწავლო წელი დაიწყოს 2020 წლის 28 სექტემბერს.
2. სასწავლო პროცესი 2020 წლის პირველ ოქტომბრამდე წარიმართოს დისტანციურ რეჟიმში, ხოლო პირველი ოქტომბრიდან სასწავლო პროცესი გაგრძელდეს არადისტანციურ რეჟიმში.
3. იზოლაციაში ან კარანტინში მყოფი სტუდენტებისათვის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო კურსების თეორიული ნაწილი წარიმართოს დისტანციურად.

4. არადისტანციურ რეჟიმში სასწავლო პროცესის წარმართვისას უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა მოხდეს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს რეკომენდაციების შესაბამისად, მათ შორის, 1-მეტრიანი დისტანციის დაცვით, შენობაში შემსვლელი ყველა პირისთვის პირბადის სავალდებულო ტარებით.
5. დისტანციურად განხორციელებული სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით შესაბამისმა სტრუქტურულმა ერთეულებმა იხელმძღვანელონ ევროპის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოების ასოციაციის (ENQA) მიერ შემუშავებული ელექტრონული სწავლების შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო პრინციპებით.
6. საუდიტორიო მეცადინეობები ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტებისათვის, გარდა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა და სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობით განსახორციელებელი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისა (ბაკალავრიატი), ჩატარდეს 2020 წლის 28 სექტემბრიდან 2021 წლის 23 იანვრის ჩათვლით (იხ. დანართი 1).
7. სასწავლო კომპონენტში შუასემესტრული გამოცდა (არსებობის შემთხვევაში) ჩატარდეს მე-9 სასწავლო კვირაში – 2020 წლის 23 ნოემბრიდან 28 ნოემბრის ჩათვლით, მიმდინარე აქტივობები შეფასდეს შესაბამის სილაბუსში მითითებულ კვირებში, დოკუმენტური მასალის ჩაბარება მოხდეს მე-16 – მე-18 კვირებში (შესაბამის დასკვნით გამოცდამდე), დასკვნითი გამოცდები ჩატარდეს 2021 წლის 25 იანვრიდან 06 თებერვლის ჩათვლით, ხოლო დამატებითი გამოცდები – 2021 წლის 08 თებერვლიდან 13 თებერვლის ჩათვლით (იხ. დანართი 1).
8. მაგისტრატურასა და დოქტორანტურაში პროსპექტუსების/კოლოქვიუმის განხილვა, როგორც წესი, უნდა განხორციელდეს დასკვნითი გამოცდების ვადაში (იხ. დანართი 1).
9. დისერტაციის წინასწარი დაცვა, როგორც წესი, ჩატარდეს მე-8 – მე-10 სასწავლო კვირებში – 2020 წლის 16 ნოემბრიდან 05 დეკემბრის ჩათვლით (იხ. დანართი 1).
10. სამაგისტრო ნაშრომებისა და დისერტაციების დაცვა, როგორც წესი, ჩატარდეს დასკვნითი გამოცდების ვადაში (იხ. დანართი 1).
11. პრაქტიკა, მისი სპეციფიკიდან გამომდინარე, ჩატარდეს სასწავლო კურსის პროგრამის (სილაბუსის) შესაბამისად.
12. შუასემესტრული გამოცდების კვირაში საუდიტორიო მეცადინეობები არ დაიგეგმოს (იხ. დანართი 1).
13. სასწავლო კომპონენტის (სასწავლო კურსი, თემატური სემინარი, პრაქტიკა და სხვა) წამყვანი პროფესორი ვალდებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსებულ სტუდენტთა შეფასების ელექტრონულ უწყისში (შემდგომში – ელექტრონული უწყისი) სტუდენტთა მიმდინარე აქტივობის შეფასების, შუასემესტრული გამოცდის (არსებობის შემთხვევაში), დასკვნითი ან/და დამატებითი გამოცდის (გარდა საგამოცდო ცენტრში ჩატარებული გამოცდებისა) შედეგები შეიტანოს არაუგვიანეს შეფასების/გამოცდის ჩატარების ბოლო ვადის მომდევნო ორი სამუშაო დღისა (17 საათამდე).
14. უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრი ვალდებულია ელექტრონულ უწყისში შეიტანოს კომპიუტერულ ცენტრში ჩატარებული შუასემესტრული გამოცდის, დასკვნითი ან/და დამატებითი გამოცდის შედეგები არაუგვიანეს გამოცდის ჩატარების ბოლო ვადის მომდევნო ორი სამუშაო დღისა (17 საათამდე).
15. მაგისტრანტის ხელმძღვანელი/დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი ვალდებულია, სამაგისტრო ნაშრომის/დისერტაციის (დოქტორანტურაში – აგრეთვე

თემატური სემინარის) შეფასების შედეგი შეიტანოს ელექტრონულ უწყისში არაუგვიანეს შესაბამისი შეფასების/დაცვის ჩატარების ბოლო ვადის მომდევნო ორი სამუშაო დღისა (17 საათამდე).

16. სემესტრის ბოლოს, არაუგვიანეს დამატებითი გამოცდის ჩატარების ბოლო ვადის მომდევნო ორი სამუშაო დღისა, სასწავლო კომპონენტის წამყვანი პროფესორი, მაგისტრანტის ხელმძღვანელი, დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი ელექტრონული უწყისის ამონაბეჭდზე (2 ეგზ.) ხელმოწერით დაადასტურებს მონაცემებს და წარადგენს აკადემიურ დეპარტამენტში. დეპარტამენტში რეგისტრირებული უწყისი არსებული წესით გადაეცემა დეკანატს.

17. დაევალოთ ფაკულტეტების დეკანებს:

17.1. სემესტრის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე სწავლების დეპარტამენტში შესათანხმებლად წარადგინონ საფაკულტეტო ბრძანებების პროექტები მიმდინარე სემესტრში საწარმოო პრაქტიკის გავლის გრაფიკის შესახებ;

17.2. სემესტრის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე სწავლების დეპარტამენტში წარადგინონ სამსახურებრივი ბარათები აკადემიური ჯგუფების მიერ მიმდინარე სემესტრში გეგმურად გასავლელი სასწავლო კურსებისა (მათ შორის – სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის) და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტების ელექტრონული უწყისების ფორმირების დასრულების შესახებ;

17.3. სემესტრის დაწყებიდან 2 კვირის ვადაში სწავლების დეპარტამენტში წარადგინონ ინფორმაცია დამამთავრებელი სემესტრის სტუდენტების პირადი საქმეების (მათ შორის ჩარიცხვის წინაპირობად განსაზღვრული დოკუმენტაციის) მონიტორინგის შედეგების, აგრეთვე მათი აკადემიური და საფინანსო დავალიანებების შესახებ;

17.4. შუასემესტრული გამოცდების დაწყებამდე ერთი კვირით ადრე შეადგინონ შესაბამისი ცხრილი დღეების, საათებისა და აუდიტორიების მითითებით;

17.5. სემესტრის დაწყებამდე უზრუნველყონ სტუდენტთა აკადემიური (წინა სემესტრის/სემესტრების სწავლის შედეგების შემოწმება ან/და სასწავლო ხელშეკრულების გაფორმება) და ადმინისტრაციული (საფინანსო ხელშეკრულების გაფორმება ან/და სწავლის საფასურის გადახდა) რეგისტრაციის ჩატარება, რეგისტრირებული სტუდენტების ელექტრონულ უწყისებში ასახვა;

17.6. სემესტრის დაწყებიდან ორ კვირაში უზრუნველყონ არარეგისტრირებულ სტუდენტთა ინფორმირება;

17.7. სემესტრის დაწყებიდან არაუგვიანეს ერთი თვისა სწავლებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების დეპარტამენტებში წარადგინონ ბრძანებების პროექტები აკადემიური დავალიანების მქონე სტუდენტების სასწავლო კურსებისა და კვლევითი კომპონენტების დამატებით (ხელახლა) გასავლელად დაშვების თაობაზე (კრედიტების მითითებით), აგრეთვე ინფორმაცია შესაბამისი ელექტრონული უწყისების ფორმირების დასრულების შესახებ;

17.8. სემესტრის დაწყებიდან ერთ კვირაში სწავლების დეპარტამენტში წარადგინონ ინფორმაცია კონსულტაციების დანიშვნის შესახებ;

17.9. სემესტრის დაწყებიდან არაუგვიანეს ერთი თვისა სწავლების დეპარტამენტში წარადგინონ საფაკულტეტო ბრძანებები მიმდინარე სემესტრში მაგისტრანტების კოლოკვიუმების განხილვის კომისიების შემადგენლობების დამტკიცების შესახებ;

17.10. სემესტრის დაწყებიდან არაუგვიანეს ერთი თვისა სწავლების დეპარტამენტში წარადგინონ საფაკულტეტო ბრძანებები მიმდინარე სემესტრში კომპონენტზე – „სამაგისტრო ნაშრომის დასრულება და დაცვა“/“სამაგისტრო ნაშრომის შესრულება და დაცვა“ მაგისტრანტების დაშვების შესახებ (იხ. დანართი 2);

17.11. სამაგისტრო საკვალიფიკაციო ნაშრომების დაცვების დაწყებამდე არანაკლებ ორი კვირით ადრე წარმოადგინონ ბრძანებების პროექტები საგამოცდო კომისიების

შემადგენლობის დამტკიცებისა და ნაშრომების დაცვის დანიშვნის შესახებ მაგისტრანტის, თემის დასახელების, ხელმძღვანელის, რეცენზენტის, დაცვის დროისა და ადგილის, აგრეთვე დაგროვებული კრედიტების რაოდენობისა და ფინანსური ვალდებულებების შესრულების შესახებ ინფორმაციის მითითებით;

17.12. სემესტრის დაწყებიდან არაუგვიანეს ერთი თვისა სწავლების დეპარტამენტში წარადგინონ საფაკულტეტო ბრძანებები მიმდინარე სემესტრში კომპონენტზე – „დისერტაციის დასრულება და დაცვა" დოქტორანტების დაშვების შესახებ, აკადემიური და ფინანსური დავალიანების არარსებობის მითითებით (იხ. დანართი 3);

17.13. სესიების დაწყებამდე არანაკლებ ერთი თვით ადრე სწავლების დეპარტამენტში წარადგინონ სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეების წარდგინების საფუძველზე მომზადებული საფაკულტეტო ბრძანებები დოქტორანტურის სამეცნიერო- კვლევითი კომპონენტის კოლოკვიუმებისა და თემატური სემინარების კომისიების შემადგენლობისა და მათი მუშაობის განრიგის (ჩატარების ადგილი, კომისიების მუშაობის დაწყების დრო) შესახებ;

17.14. დისერტაციის დაცვამდე არანაკლებ ორი კვირით ადრე წარმოადგინონ სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეების წარდგინების საფუძველზე მომზადებული ბრძანებების პროექტები დისერტაციების დაცვის დანიშვნის შესახებ დისერტანტის, თემის დასახელების, ხელმძღვანელის, რეცენზენტების, დაცვის დროისა და ადგილის, აგრეთვე აკადემიური და ფინანსური დავალიანების არ არსებობის შესახებ ინფორმაციის მითითებით;

17.15. სესიების დაწყებამდე ორი კვირით ადრე სწავლების დეპარტამენტში შესათანხმებლად წარადგინონ დასკვნითი გამოცდების ცხრილი (დღეების, საათების და აუდიტორიების მითითებით).

17.16. უზრუნველყონ სამაგისტრო ნაშრომების დაცვის, დოქტორანტების თემატური სემინარის შეფასების, მაგისტრანტებისა და დოქტორანტების კოლოკვიუმების განხილვის, დისერტაციის წინასწარი დაცვისა და დისერტაციის დაცვის პროცესის სრული აუდიოვიდეო ჩაწერა და ჩანაწერის კომპაქტ-დისკზე შენახვა, შესაბამისი ოქმის დანართის სახით;

17.17. უზრუნველყონ აკადემიურ დეპარტამენტებთან ერთად სემესტრის განმავლობაში სტუდენტთა შეფასების უწყისების შევსების მონიტორინგი;

17.18. სემესტრის დამთავრებიდან ორი კვირის ვადაში სწავლების დეპარტამენტში წარადგინონ მოხსენებითი ბარათები სტუდენტთა შეფასებების უწყისების რეგისტრაციის დასრულების და სემესტრის შედეგების შესახებ, აგრეთვე სტუდენტთა რეიტინგული სიები.

17.19. სემესტრის დამთავრებიდან ერთი თვის ვადაში სწავლების დეპარტამენტში წარადგინონ სტუდენტთა სწავლების შემდეგ წელზე გადაყვანის ბრძანებათა პროექტები.

18. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ვიცე-რექტორს ლ. კლიმიაშვილს.

19. ბრძანება გამოკრულ იქნეს თვალსაჩინო ადგილებზე და განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

რექტორი დ. გურგენიძე

დანართი 1

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

2020-2021 სასწავლო წლის პირველი (შემოდგომის) სემესტრის სასწავლო გრაფიკი

(გარდა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა და სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობით განსახორციელებელი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისა)

სწავლების საფეხური	28 სექტემბერი - 03 ოქტომბერი	05 -10 ოქტომბერი	12 – 17 ოქტომბერი	19-24 ოქტომბერი	26 -31 ოქტომბერი	02 – 07 ნოემბერი	09 – 14 ნოემბერი	16-21 ნოემბერი	23 – 28 ნოემბერი	30 ნოემბერი - 05 დეკემბერი	07 – 12 დეკემბერი	14 – 19 დეკემბერი	21 – 26 დეკემბერი	28 - 31 დეკემბერი	01 - 07 იანვარი	08 - 09 იანვარი	11 – 16 იანვარი	18 -23 იანვარი	25 -30 იანვარი	01 -06 თებერვალი	08 -13 თებერვალი
კვირა	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	XIII	XIV	-	XIV	XV	XVI	XVII	XVIII	XIX
სასწავლო კომპონენტი																					
ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; დოქტორანტურა	სააუდიტორიო მეცადინეობები, მიმდინარე აქტივობები								შუასემესტრული გამოცდები (არსებობის შემთხვევაში)	სააუდიტორიო მეცადინეობები, მიმდინარე აქტივობები					საშობაო არდადეგები	სააუდიტორიო მეცადინეობები, მიმდინარე აქტივობები		სააუდიტორიო მეცადინეობები, მიმდინარე აქტივობები, დოკუმენტური მასალის ჩაბარება		დოკუმენტური მასალის ჩაბარება, სესიები (დასკვნითი გამოცდები)		დამატებითი გამოცდები
სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი																					
მაგისტრატურა; დოქტორანტურა (გარდა "დისერ-ტაციის დასრულება და დაცვისა")	კვლევა														საშობაო არდადეგები	კვლევა		დოკუმენტური მასალის ჩაბარება		დოკუმენტური მასალის ჩაბარება, სესიები (განხილვა, სამაგისტრო ნაშრომის დაცვა)		-
დოქტორანტურა ("დისერტაციის დასრულება და დაცვა")	დისერტაციის დასრულება								დისერტაციის წინასწარი დაცვა				დისერტაციისა და ავტორეფერატის წარდგენა სადისერტაციო საბჭოში			მზადება დისერტაციის დაცვისთვის				დისერტაციის დაცვა		-

დანართი 2

კომპონენტზე „სამაგისტრო ნაშრომის დასრულება და დაცვა“ მაგისტრანტების დაშვების შესახებ ბრძანების დანართის ფორმა

№	სამაგისტრო პროგრამა	ჯგუ-ფი	მაგისტრანტის გვარი და სახელი	ხელმძღვანელის თანამდებობა, გვარი და სახელი	დაგრო-ვებული კრედი-ტების რაოდე-ნობა, ECTS	დამატებით გასავლელი კომპონენტები		ფინან-სური დავა-ლი-ანება, ლარი
						დასახელება	კრედი-ტების რაოდე-ნობა, ECTS	

დანართი 3

კომპონენტზე „დისერტაციის დასრულება და დაცვა“ დოქტორანტების დაშვების შესახებ
ბრძანების დანართის ფორმა

№	სადოქტორო პროგრამა	ჯგუ-ფი	დოქტორანტის გვარი და სახელი	ხელმძღვანელის თანამდებობა, გვარი და სახელი	დაგროვე-ბული კრედი-ტების რაოდე-ნობა, ECTS	აკადემიუ-რი დავა-ლიანება, ECTS კრედიტი	ფინანსური დავალი-ანება, ლარი
					150	0	0